Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა
საქართველო

იანვარი 2022

- საერთაშორისო მოგზაურთა[1] რიცხვი 2022 წლის იანვარში 471.2%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 62.3%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების[2] რაოდენობა 424.4%-ით გაიზარდა (2022/2021) და 59.5%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების[3] რაოდენობა 455.7%-ით გაიზარდა (2022/2021) და 46.5%-ით შემცირდა (2022/2019).
- 2022 წლის იანვარში HPI ინდექსმა აჩვენა სასტუმროს ფასების მნიშვნელოვანი, 5.3%-იანი, ზრდა 2021 წელთან შედარებით, ყველაზე მაღალი ზრდა კი სამცხე-ჯავახეთისა (32.8%) და მცხეთა-მთიანეთის (20.6%) რეგიონებში დაფიქსირდა.
- 2016 წლიდან 2019 წლამდე HORECA[I] ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა სტაბილურად, ყოველწლიურად საშუალოდ 10.1%-ით, იზრდებოდა. თუმცა, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 33,2%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მეორე კვარტლიდან გარკვეული პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა, დასაქმებულთა რაოდენობამ კვლავ ვერ მიაღწია პრეპანდემიურ ნიშნულს.
- 2016-2019 წლებში HORECA ინდუსტრიაში დასაქმებულთა ნომინალური საშუალო თვიური ხელფასი სტაბილურად იზრდებოდა. პანდემიის შემდეგ ხელფასებმა საგრძნობლად იკლო. თუმცა, 2021 წლის მეორე და მესამე კვარტალში ხელფასებმა აჩვენა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა, რაც შესაძლოა აიხსნას ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით, შეზღუდვების ნაწილობრივი შემსუბუქებითა და HORECA ინდუსტრიაზე შედარებით გაზრდილი მოთხოვნით.

დასაქმება და ხელფასები HORECA ინდუსტრიაში

იმის გათვალისწინებით, რომ სტუმარმასპინძლობის სექტორი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს[II], საინტერესოა HORECA ინდუსტრიაში დასაქმების ტენდენციების გაანალიზება. კერძოდ, ამ გამოცემაში შეფასებულია ცვლილებები ძირითადი ინდიკატორების მიხედვით პანდემიამდე და მის შემდეგ.

2016 წლიდან 2019 წლამდე დაქირავებით დასაქმებულთა[III] რაოდენობა HORECA-ს ინდუსტრიაში სტაბილურად, ყოველწლიურად საშუალოდ 10.1%-ით, იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ზრდის ტემპი უფრო მაღალი აღმოჩნდა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორში (17.6%) კვების სექტორთან შედარებით (5.3%). აქედან გამომდინარე, შეიცვალა დასაქმებულთა განაწილება HORECA ინდუსტრიაში. კერძოდ, 2016 წლიდან 2019 წლამდე განთავსების სექტორში დასაქმებულთა წილი გაიზარდა 7,6 პროცენტული პუნქტით და მიაღწია HORECA ინდუსტრიაში დასაქმებულთა 45,9%-ს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

2019 წელთან შედარებით 2020 წელს HORECA ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა მკვეთრად, 33.2%-ით, შემცირდა. 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობის კლება გაცილებით მაღალი იყო განთავსების სექტორში (40.9% კლება), კვების სექტორთან (26.7%) შედარებით, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ კვების სექტორი ნაკლებადაა დამოკიდებული საერთაშორისო ვიზიტორებზე და რეგულაციებთან უფრო სწრაფად ადაპტირება მოახერხა (მიწოდების სერვისის მეშვეობით).

2021 წლის I კვარტალში HORECA ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ უფრო მეტად, 49.5%-ით, შემცირდა (56.2%-იანი ვარდნა განთავსების სექტორისათვის და 38.8% ვარდნა კვების სექტორისათვის). 2021 წლის II კვარტლის შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა ორივე სექტორში უფრო მაღალი იყო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 2021 წლის III კვარტალში კი წლიური ზრდის ტემპმა 9.2%-ს მიაღწია, რაც შესაძლოა აიხსნას დაბალი საბაზისო ეფექტითა და ინდუსტრიაზე შეზღუდვების ნაწილობრივი შემსუბუქებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობამ კვლავ ვერ მიაღწია პრეპანდემიურ (2019 წლის III კვარტალთან შედარებით 16.3%-ით დაბალი) ნიშნულს.

HORECA ინდუსტრიაში დასაქმების ტენდენციების განხილვისას აღსანიშნავია დასაქმებულთა ნომინალური საშუალო თვიური ანაზღაურების შეფასება. 2016-2019 წლების განმავლობაში HORECA ინდუსტრიაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასები სტაბილურად იზრდებოდა და ახასიათებდა სეზონურობა. ამ პერიოდში ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხელფასმა ორივე ქვესექტორისათვის პიკს 2019 წლის IV კვარტალში მიაღწია (1 321 ლარს განთავსების სექტორში და 821 ლარს კვების სექტორში), ხოლო მთლიანობაში HORECA ინდუსტრიაში საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 1 019 ლარს, რაც 11.0%-ით აღემატებოდა 2018 წლის IV კვარტლის მონაცემს.

2020 წლის II კვარტალში ყოველთვიურმა ხელფასები მნიშვნელოვნად, წინა წელთან შედარებით 10.9%-ით, შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ხელფასებმა მეტად იკლო განთავსების სექტორში (20.1%) კვების სექტორთან შედარებით (2.8%). ხელფასების ყოველწლიური კლების ტენდენცია გაგრძელდა 2021 წლის I კვარტალამდე. 2021 წლის მეორე კვარტალში საშუალო ხელფასი 14.3%-ით გაიზარდა. 2021 წლის III კვარტალში ნომინალურმა ხელფასებმა განაგრძო ზრდა და გასცდა პრეპანდემიურ (2019) მაჩვენებლებს ორივე ქვესექტორისათვის (1 358 ლარს განთავსების სექტორში და 873 ლარს კვების სექტორში), ხოლო HORECA ინდუსტრიის საშუალო თვიურმა ხელფასმა 1 062 ლარი შეადგენდა (6.5%-იანი წლიური ზრდის ტემპით), რაც შესაძლოა აიხსნას ისეთი ფაქტორების კომბინაციით, როგორებიცაა: ინფლაციის მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი, შეზღუდვების ნაწილობრივი შემსუბუქება და HORECA ინდუსტრიაზე შედარებით გაზრდილი მოთხოვნა.

I ტერმინი არის აკრონიმი სიტყვებისა სასტუმრო/რესტორანი/კეტერინგი, რომელიც მოიაზრებს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებს.
II WTTC-ის მიხედვით, 2019 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი მშპ-ში 26.8% იყო.
III გაითვალისწინეთ, რომ HORECA-ში დასაქმების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეუმჩნეველია და სრულად არ არის ასახული ოფიციალურ სტატისტიკაში, შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებლები და მათზე პანდემიის გავლენა შესაძლოა არასრულად იყოს გამოხატული.

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 იან/ 2021 დეკ	2022 იან/ 2021 იან	2022 იან/ 2021 დეკ	2022 იან/ 2021 იან	2022 იან/ 2021 დეკ	2022 იან/ 2021 იან
კახეთი	-9.9%	8.1%	-2.4%	22.3%	-15.4%	-1.9%
იმერეთი	-16.0%	19.0%	-11.0%	22.0%	-20.0%	17.1%
გურია	-24.0%	-8.5%	-24.0%	-8.5%	-	-
ქვემო ქართლი	10.7%	0.0%	28.6%	0.0%	-4.8%	-
აჭარა	-19.4%	15.9%	-18.9%	21.9%	-18.5%	4.9%
რაჭა	-4.2%	5.0%	-		-4.2%	5.0%
შიდა ქართლი	18.0%	-5.6%	-	5.9%	18.0%	-15.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.3%	-3.3%	-0.2%	-0.7%	0.6%	-5.9%
სამცხე-ჯავახეთი	3.5%	32.8%	23.9%	32.7%	-8.1%	33.3%
მცხეთა-მთიანეთი	0.3%	20.6%	-0.4%	16.4%	1.4%	24.9%
თბილისი	-2.8%	-5.8%	-2.8%	-8.4%	-3.1%	12.8%
სულ ფასების % ცვლილება	-7.2%	5.3%	-5.2%	5.9%	-9.6%	9.4%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2022 წლის იანვარში, 2021 წლის დეკემბრის ფასებთან შედარებით და 2021 წლის იანვრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2022 წლის იანვარში, 2021 წლის დეკემბერთან შედარებით, 7.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 5.2%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.6%-ით შემცირდა.

2022 წლის იანვარში, 2021 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 5.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.4%-ით გაიზარდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2022 წლის იანვარში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[5] **132 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **237 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[6] საშუალო ფასმა იანვარში **107 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა იანვარში **441 ლარი** შეადგინა. კახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 567 ლარი შეადგინა, თბილისში - 524 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 487 ლარი, ხოლო აჭარაში - 362 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	404.7	216.5	340.6	242.6	1204.5	197.8*	452.2*	602.3*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3	815.4	579.8
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	246.1	566.0	-
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	37.1	62.6	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.8*	-1.5*	6.9*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.
4 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
5 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
6 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.